

## ბრძანება

№3/99

04.05.2011წ.

ქ. თბილისი

### საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის №3/181 ბრძანების დანართი №1-ში და №2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად,

#### ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის №3/181 ბრძანების დანართი №1-ში და №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) დანართი №1-ში შეტანილი რიგითი ნომერი 823, ნაცვლად “კერესელიძე ივანეს ქ.№5”-სა, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით – „კერესელიძე ივანეს ქ. №3“, ასევე ამავე ბრძანების დანართი №2-ში, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი №010207082-ში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება: “კერესელიძე ივანეს ქ.№5” შეიცვალოს შემდეგი რედაქციით – „კერესელიძე ივანეს ქ. №3” და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

ბ) დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7).

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ცხადაძე

823. კერესელიძის /ივანე/ ქუჩა 3

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო  
ბარათი № 010207082



1. სახელწოდება - საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, კერესელიძე ივანეს ქუჩა 3
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-20 საუკუნის დასაწყისი